საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

52-07-4-201809281241

28/09/2018

N 52

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**დადგენილება №52**
**2018 წლის 28 სექტემბერი**
**ქ. ლანჩხუთი**

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებაში (ვებგვერდი 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.112.016325) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების":

**ა) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„ მუხლი 4. განათლებისა და კულტურის განყოფილება**

განათლებისა და კულტურის განყოფილების ფუნქციებია:

ა) განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ბ) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების, მუნიციპალური მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკების და კულტურის სხვა დაწესებულებების, კოორდინირებულად მუშაობის უზრუნველყოფა;

გ) ძეგლთა დაცვის მუნიციპალური პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;

დ) წინადადებების შემუშავება მის სფეროს მიკუთვნებული დაწესებულებების შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე;

ე) კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა;

ვ) შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.“

**ბ) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**მუხლი 5. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება**

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ფუნქციებია:

ა) მოსახლეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ახალგაზრდული პროგრამების შემუშავება და მათი შესრულების ხელშეწყობა;

ბ) მუნიციპალიტეტის მასობრივი სპორტული ღონისძიებების წლიური გეგმების შემუშავება;

გ) საერთაშორისო და ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების ჩატარების კოორდინაცია;

დ) სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;

ე) სპორტული ღონისძიებების ორგანიზება;

ვ) სპორტული ღონისძიებების წლიური პროგრამების შემუშავება;

ზ) სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მუნიციპალური პროგრამების პროექტების შემუშავება;

თ) სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მუნიციპალური პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;

ი) მუნიციპალური სტადიონების, სპორტული მოედნების, საცურაო აუზების, სპორტული კომპლექსებისა და ახალგაზრდული დაწესებულებების გამართულ ფუნქციონირების უზრუნველყოფა;“

**მუხლი 2**. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვლადიმერ ნანაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო